საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თანამოსაყდრეობა

თანამოსაყდრეობა, ტახტის მემკვიდრეობის წესი XI–XIII სს. საქართველოში, რომლის მიხედვით, მეფეს მემკვიდრე თავის სიცოცხლეშივე აჰყავდა სამეფო ტახტზე თანახელმწიფედ. მაგ., დავით აღმაშენებელმა "თვსითა ჴელითა დასუა საყდარსა თსსჳა ძე თვსი დიმიტრი"; თამარსაც გიორგი III-მ თავისი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი. სავარაუდოა, რომ მეფეები ამ გზით ცდილობდნენ, მემკვიდრეებისათვის აეცილებინათ მეფედ კურთხევის წესის სიმბოლური მოქმედება, რ-იც გამოხატავდა ხელისუფლების მიღებას დიდგვარიანი აზნაურებისაგან.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 7).

ი. ფუტკარაძე